საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თედოწმინდა

თედოწმინდა, სოფელი გორის მუნიციპალიტეტის ტინისხიდის თემში (შიდა ქართლის მხარე), ტირიფონის ვაკეზე (შიდა ქართლის ვაკის ჩრდ. ნაწილი), მდ. ლიახვის მარჯვ. ნაპირას. ზ. დ. 670 მ, გორიდან 3 კმ. 541 მცხ. (2002).

თ-ში 1724 ქართველებსა და ოსმალებს შორის მოხდა ბრძოლა, რ-იც ქართველთა დამარცხებით დასრულდა. სოფლის შუაში დგას XVIII ს. ცილინდრული, რიყის ქვით ნაგები გარსევანიშვილების კოშკი. სოფლის დას-ით, სასაფლაოზე რიყის ქვითა და აგურით ნაგები გვიანდ. შუა საუკუნეების წმ. თევდორეს ერთნავიანი ეკლესიაა, რ-ის კონსტრუქციულად მნიშვნელოვანი ადგილები ქვიშაქვის კვადრებითაა ამოყვანილი. საკურთხევლის ნახევარწრიულ აფსიდში ქვით ნაგები სატრაპეზოა. ეკლესია შიგნით გადახურულია კამარით. სოფლის დას-ით, 1 კმზე, მთაზე გვიანდ. შუა საუკუნეების ნასოფლარია.